საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

ცრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

კვირა, ივლისის 10

1921 წ.

ფასი 500 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფურცლები

52

**ბათომის საკითხი.**

ქართველ ხალხის, ქართულ ისტორიის და კულტურის წინაშე მარადიული ხასიათის კითხვა სდგას—ეს არის იდეა საქართველოს მთლიანობისა. სპასალარების ხმლით, ვახტანგის კანონებით თუ შოთას ენით ჩვენი ოცნებაა საქართველო კიდით-კიდემდე გრძნობდეს ქართულს სულს და ქანდაკად სრული საქართველო ასევე სრულს, ასევე მთლიანს, ასევე მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდეს საერთაშორისო ორომტრიალში.

დაქუცმაცებული საქართველო მძლავრი პოლიტიკა და კულტურის ნაყოფი კი არ არის, არამედ სიგლახაკის, დავრდომის, უნიჭობის და იარაბარობისაის. საქართველოს საშუალო სატუსნოები ჩვენი ისტორიის აწყურია დაქუცმაცებით, სიდარიბით, ეგოიზმით:

საქართველოს დაქუცმაცებამ მოგვიტანა ეკონომიური დაცემა, ენის შებღალვა, ერთ ალაგას თათრულის გაძლიერება, მეორე ალაგას რუსულის გავლენა, მესამე ალაგას სპარსულიკ ძალა და ასე დაუსრულებლივ. არა მარტო ენის მხრივ, ასევე სარწმუნოებაში, მ. იგ. ხოპრობაში.

საქართველოს დაქუცმაცებას ჩვენ ვერ მივიღებთ ვერავითარ კონცეპციის წამოყენებით, არც ბატონყმური, არც კაპიტალისტური, არც სოციალისტური, არავითარი საქართველო არ გვინდა ჩვენ დამახინჯებული, დამტვრეული, უსახო, უენო. ჩვენს საქართველოს სიმთელით „ჩიხტი კოპს“ ვადებთ თავზე და ამგვარად ვრახავთ სოციალისტურს ოჯახში.

ინტერნაციონალში ფაქტია, რომ ერები იღებენ მონაწილეობას. კომინტერნის კრება იყო ერების გამოფენა არსებითად და ძალთა დიაგრამის შედგენისას იაპონიის სოციალისტი თავის ერის რიცხვს ითვლის, თავის ქარხნებს, თავის მუშებს, ასევე რუსი, გერმანელი, იტალიელი და ჩვენ გვინდა ასეთ გამოფენაზე საქართველოს იუზავ გამოიმეტყველოს მხარბეჭიან და წელ-წელამდე ქართველი, კოხტა, ძკვირცხლი, ლაღი და არა დახაგრული, მილეწ-მოლეწილი სახელმწიფოსი.

— აი ამ მხრივ უყურებთ ჩვენ ბათომის საკითხს. სამწუხაროდ, სამუსლიმანო საქართველოს საქმეები ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. მართალია, ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით ბათომის მხარის შესახებ, მაგრამ რაც ვიცით დიდად სანუგეშო არ არის. მწუხარებით აღვნუსხავთ, რომ „გრუზკომუნსტა“ ბათომის ხავთისადუღში ფლიუგის ამბებს გადმოგვცემს ხშირად, მაგრამ მთელი მხარის უდიდეს პოლიტიკურ ამბებზე კრინტსაც არა სძრავს.

ქართველი ხალხი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა და ეტანება ბედამ ბათომის სვე-ბედს. ყველამ იცის, რომ მესხეთ-ჯავახეთის და მთელი ბათომის მხარეს ოსმალების მიერ ხელში ჩაგდებისას, ტფილისში დაარსდა 1918 წელს ჩვენი ძმემ მუსლიმან ქართველებისაგან სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლებელი კომიტეტი.

დიდი ბრძოლა, დიდი ტანჯვა, დიდი შრომა გაიღო ამ კომიტეტმა სამუსლიმანო საქართველოს შესაერთებლად დედა საქართველოსთან. ამ კომიტეტის მოღვაწენი, თავიანთ იდეებისათვის თურქების მიერ წამებულნი უძვირფასეს ფურცლებს შეადგენენ ჩვენი ისტორიისას.

ხსენებულ კომიტეტის საერთო მიზანი ყველა ჩვენგანის მიერ დასახული იყო, როგორც პირველ აზრი საქართველოსი. საქართველოს შვილების თავგანწირული ბრძოლა ქემალისტების წინააღმდეგ ბარცხანის კედლებზე მხოლოდ იმას ადადებს, რომ ბედით განწირულ ქართველის ხმალსაც შეუძლიან ქარქაში მანამდი არ ნახოს, ვიდრე იგი ხმალი შარავანდედით არ შემოსავს ქართველი ვაჟკაცის სახელს. და ჩვენმა გმირმა მეომრებმა სისხლით, ხორცით, ძვლებით შეადუღეს ერთი ქვეყნის სხვა და სხვა მიწა-ადგილი.

და ჩვენ სამუსლიმანო საქართველოში ერთ წუთსაც ვერ წარმოვიდგენთ ისეთ ძალას რომელიც გარკვევით, მტკიცედ, ჩამოყალიბებით, კატეგორიულად, სულით, მთელი თავისი სიცოცხლით არ იქნება დაკავშირებული საქართველოსთან.

ბოლშევიკების ძალა საქართველოში ჩვენ არ გვესმის, როგორც ძალა საქართველოს დაშლისა. ჩვენ უარვყოფთ ყოველ წეს-წყობილებას, რომელიც დაქსაქსავს საქართველოს, რომელიც საქართველოს ნაწილებში გაამეფებს საქართველოს ორიენტაციის ორგულებს.

საქართველოს მხედრობა სასტიკად იბრძოდა ბათომში, ჩვენ ვიცით, მაშინ ხელისუფლებისათვის ბოლშევიზმი, როგორც სოციალ-პოლიტიკური მიმდინარეობა არ არსებობდა, ბათომში ბრძოლა ბოლშევიკების დროში ქვეშ იყო ბრძოლა საქართველოს მთლიანობისათვის და ამ ბრძოლის პრინციპს ჩვენ ვერასოდეს მოვშორდებით.

უდიდესი მორიგი დამტი ქართული საქმისა მენშევიკების მხრივ იყო საქართველოს გულში ქემალისტების შეკოყვანა, მენშევიკებმა თავიანთ პოლიტიკურ ავანტიურისათვის გაუღიმეს ქემალისტებს მთელი არტაანი, მეორე მხრივ კი ართვინის ოლქი, ვერავითარი პარტიული და პოლიტიკური კომბინაციით ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ საქართველოს ვერც ერთს ადგილზე, და აჩიტომ ეხლაც ჩვენ გვინდა დავასახოთ ჩვენს დედა მიწა-წყალზე საქართველოს ერთგული შვილების ერთგული სუსმაოთა.

„განმათავისუფლებელ კომიტეტს“ ძმჰყვა „სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი“ თავისი ისტორიით, თავისი დეკლარაციით, თავისი ბრძოლით. დღეს კი ეს მეჯლისი არ არის, არის „აჭარისტანის მეჯლისი“. ჩვენ ეს სახელი სრულებით არ გვაკმაყოფილებს. აჭარისტანი იმდენადვე ვიწროა, რამდენადაც ფართოა თვით სახელი „სამუსლიმანო საქართველო“ და იგულისხმება, რომ პირველის პოლიტიკური ჰორიზონტიც ისევე მკრთალი, ჯერ კიდევ ბუნდოვანი და ვიწროა, რამდენადაც პირველი მეჯლისის ძროშმისი, იდეა, პროგრამა ფართო იყო და მიზანშეწონილი.

შაბათს, 9 ივლისს ჩვენს რედაქციას ეწვივნენ „აჭარისტანის მეჯლისის“ წევრები თავმჯდომარე ჰასან ლორთქიფანიძეს მეთაურობით. დავბეჭდავთ ინტერვიუს აღნუსხულ საუბრებთან. მაგრამ ეხლავე საჭიროდ ვთვლით განსაკუთრებულ ყურადღების საჭიროებას მიაღწიოს მხრივ. დაწვრილებით უნდა შევისწავლოთ მთელი საქმე იმ ჯგუფების მუშაობისა, რომელნიც „აჭარისტანის“ სამეფოში არსებობენ. ძველი მეჯლისი, ახალი მეჯლისი, „სედაი მილეთი“... ყველა ესენი ამავე დროს პოლიტიკური ჯგუფებია ნამდვილად.

„აჭარისტანის მეჯლისში“ სედაი მილეთის ხალხიც მუშაობს, მათ 7 წევრი ჰყავს ახალს მეჯლისში, ხოლო ძველი „სამუსლიმანო საქართველოს“ ძალას ერთი წევრიც არ გააჩნია ახალს მეჯლისში. რაშია საქმე? რა ამბავი მომხდარა „აჭარისტანში“, რას ნიშნავს ყოველივე ეს? საით მივდივართ, ვისთან?

ჩვენ მოვითხოვთ სრულიად გარკვეულ ნაბიჯებს და დეკლარაციებს „აჭარისტანის მეჯლისის“ ძალთა მხრივ. ჩვენ ვიცით, ახალ მეჯლისს საქართველოს რევკომისათვის წარუდგენია მემორანდუმიც, მაგრამ ქვეყანამ ამ მემორანდუმის არაფერი იცის, ჩვენ უნდა გამოვაქვეყნოთ ეს მემორანდუმი და ერს ვაუწყოთ მისი ავ-კარგი, კარგად უნდა გავიგოთ მომქმედ ძალთა პოლიტიკური მიზნები.

ქართველი ერი იბრძოდა ბათომში და მან სისხლით იცოდა თუ როგორ წყდებოდა ბათომის საკითხი, ეხლაც ეს საკითხი ვერც მის გარეშე გადაწყდება და ვერც ისე, როგორც ეს სურს სხვებს. სამუსლიმანო საქართველოში მუშაობა უნდა სწარმოებდეს საქართველოს მიხედვით —მთრჩა და გათავდა. ამისათვის ჩვენ ყველას გაჩვენებთ, როგორ უნდა საცოცხლე და სიკვდილი.

თედო ღლონტი.

## მცირე ანტანტა და რუსეთის რევოლიუცია

ოქტომბრის რევოლიუციამ მრავალი სიურპრიზი შესთავაზა ევროპის ბურჟუაზიასა და მემარჯვენე სოციალისტებს: ეგონათ რომ ოქტომბრის გადატრიალების ლიკვიდაცია 2—3 თვეში მოხდებოდა. როცა ეს მოლოდინი არ გამართლდა, ევროპის ბურჟუაზია რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. ის უკვე ოთხი წელიწადია გაზმაგებით ებრძვის საბჭოთა რუსეთს და რევოლიუციის ლიკვიდაციას ცდილობს ამ ხნის განმავლობაში ანტანტის სახელმწიფოებმა მიმართეს მრავალ მეთოდებს რუსეთის რევოლიუციის დასამხობად და რეაქციის გასამარჯვებლად, მაგრამ ყოველივე ეს ლდემდის ამაოდ გამოდგა: ოთხი წლის გმირული ბრძოლით რუსეთმა დაამტკიცა, რომ რეაქციის საქმე რუსეთში ერთხელ და სამუდამოთ წაგებულია.

როგორც სჩანს, ანტანტა რუსეთის რევოლიუციის საწინააღმდეგო ახალ საშუალებას ეძებს, ახალ ძალებს რაზმავს. ეს არის ეგრედ წოდებული „მცირე ანტანტა“, დიდი ანტანტის დუბლიკატი, რომელსაც დაკისრებული აქვს „აღმოსავლეთის საკითხში“ განსაკუთრებული როლი. უცხოეთის პრესა დიდი ხანია ლაპარაკობს ამ „მცირე ანტანტის“ შესახებ ის ერთობ ძლიერ ზანტად იქმნებოდა, დღესაც არ არის საბოლოოდ გამორკვეული მისი შედგენილობა, მაგრამ როგორიც არ უნდა იქნეს მისი შედგენილობა, რამდენი სახელმწიფოც არ უნდა შევიდეს მასში ერთი რამ დღეს სავსებით გამორკვეულია: რუსეთი და მისი რევოლიუცია მცირე ანტანტის ყურადღების ცენტრია. ეს არც არის გასაკვირი. დიდი ანტანტა წამოშვა გერმანიის საფრთხემ, პატარა ანტანტა წარმოშვა რუსეთის რევოლიუციის შიშმა.

„დიდ ანტანტას“ რუსეთის საკითხში დიდი სკანდალი მოუვიდა: ვერც ინტერვენციით, ვერც შინ ზრდილი კონტრ-რევოლიუციის ამოძრავებით ვერ შესძლო მან რუსეთის რევოლიუციის ჩაჭრობა და აი ის ახალ ნიღაბის ქვეშ გამოდის, ეს არის მცირე ანტანტა. ამ მხრით, უნდა ითქვას, მცირე ანტანტას აქვს ერთი დიდი უპირატესობა ეს ის, რომ მცირე ანტანტის თითქმის ყველა სახელმწიფოები რუსეთის მოსაზღვრე არიან. ასეთ მდგომარეობაში არ იყვნენ დიდი ანტანტის სახელმწიფოები, გარდა იაპონიისა, რომელიც მეტად შორს არის მოსკოვიდან. ესეც რომ არ იყოს ყოველი ნაბიჯი იაპონიის მიერ ციმბირში წინ წამოდგმული, არის შეერთებული შტატების უკან დახევა და დამარცხება—ე. ი. დიდი ანტანტის ერთ-ერთი სახელმწიფოს უშუალო ჩარევა რუსეთის საქმეებში მეტად ართულებს თვით ანტანტის საერთაშორისო მდგომარეობას!

რუსეთის მიმართ „მცირე ანტანტამ“, უნდა გააკეთოს ის, რაც ვერ შესძლო დიდმა ანტანტამ. ამაშია მისი ტრაგიზმი!.

აშკარაა, მცირე ანტანტას მეტად მძიმე მოვალეობა აქვს დაკისრებული შესძლებს კი ის ამ მოვალეობის შესრულებას?—ძლიერ საეჭვოა!..

სხვა რომ არა იყოს ის მართლაც „მცირეა“ დიდ რევოლიუციონურ რუსეთთან და მის მოკავშირეებთან ანგარიშების გასასწორებლად. მართალია ის მზად არის თავის პატრონს—დიდ ანტანტას —ასიამოვნოს და ავანტიურას არ დაერიდება, მაგრამ ნათქვამია: Бодловой карове Бог рогов не дает!..

მცირე ანტანტას რუსეთის რევოლიუციისადმი აქვს თავისი მინიმუმი და მაქსიმუმი. მინიმუმი არის: შეაჩეროს რუსეთის რევოლიუციის გაფართოება; მაქსიმუმი არის: რუსეთის რევოლიუციის ჩაქრობა.

პირველ მიზანს ის ვერ მიაღწევს, რადგანაც რუსეთის რევოლიუციის გაფართოება ხდება მცირე ანტანტის ზურგში!

რაც შეეხება მაქსიმუმს, უნდა ითქვას შემდეგი. მცირე ანტანტას, ისე როგორც დიდ ანტანტას, „რუსეთის პრობლემის“ გადასაჭრელად აქვს ორი გზა: ერთი—ყველაზე უფრო გონივრი: საბჭოთა მთავრობის ფაქტიური და იურიდიული ცნობა და მასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება. არის მეორე საშველებაც, ეს არის ახალი ავანტიურა: იარაღით რუსეთის დაპყრობა რომ ეს უკანასკნელი მეტად თამამი ოცნებაა—ეს დაამტკიცა საბჭოთა რუსეთმა წარსულ წელს შინაური და საერთაშორისო გაერთიანებული კონტრ-რევოლიუციის სასტიკი დამარცხებით. მართლაც, რას ნიშნავს რევოლიუციონური რუსეთის იარაღით დაპყრობა? უპირველეს ყოვლისა ეს ნიშნავს ევროპაში ახალ ომებს, რასაც, ჩვენის ღრმა რწმენით, უნდა მოჰყვეს მხოლოდ ერთი შედეგი: ბურჟუაზიული ევროპის სიკვდილი!.. გარდა ამისა რევოლიუციონური რუსეთის დაპყრობა გარეშე ძალებით იქნებოდა უმძიმესი რეაქციის გამარჯვება რუსეთში. უკანასკნელ შემთხვევაში რუსეთის სოციალისტებს განურჩევლად იმართულებისა აქვთ ერთად ერთი გზა: რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან ერთად ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ სისხლის უკანასკნელ წვეთამდი!..

ძლიერ საეჭვოა, რომ ამ გაერთიანებული რევოლიუციონური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეს მცირე ანტანტა, რადგანაც გარდა იმისა, რომ ის თავის თავად საკმაოდ სუსტია, მის ორგანიზმს დღონის შინაგანი წინააღმდეგობანი.

„მცირე ანტანტის“ მჭიდროდ შეკავშირება, საგრძნობლად მისი სამხედრო და დიპლომატიური გაძლიერება არ არის ხელსაყრელი თვით დიდი ანტანტისათვის, როგორც ომკუნისათვის!..

ასეთია „მცირე ანტანტის“ მდგომარეობა, მისი „ძლიერება“, მის გარშემო დიდი ხმაურობაა, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რეაქციას აქაც „კოვზი ნაცარში ჩაუვარდება“ და ახლო მომავალში ყველა დაინახავს, რომ „гора родила мышь!..“

შ,—ელი.

## ინტერვიუ

9 ივლისს ჩვენს რედაქციას ეწვივნენ „აჭარისტანის მეჯლისის“ თავმჯდომარე ჰასან ლორთქიფანიძე, მეჯლისის წევრები მემედ კონცელიძე და ბექირ აბუსერიძე.

რედაქციის თანამშრომლებთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ მეჯლისის წევრები ტფილისს არიან ჩამოსულნი „აჭარისტანის“ საქმეების საბოლოოდ გამორკვევისათვის.

მოქ. ჰასან ლორთქიფანიძის გადმოცემით „აჭარისტანის მეჯლისში“ ირიცხება 39 წევრი. წევრები პოლიტიკურ ჯგუფებად, წრეებად ან ფრაქციებად არ არიან დანაწილებულნი. მეჯლისში ირიცხება 7 წევრი ეგრედ წოდებულ „სედაი მილეთის“ ჯგუფისა (ქართულად—ხალხის ხმა), მაგრამ ჯერ-ჯერობით ისინი ფრაქციულად არ გამოსულან.

სხვა ჯგუფი მეჯლისის წევრთა შორის არ არის. რედაქციისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო გაგება „სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის“ ხალხის მონაწილეობა ამ ახალ „აჭარისტანის მეჯლისში“.

როგორც ვიცით, სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი შედგარია სამუსლ. საქ. განმათავისუფლებელ კომიტეტიდან, აქვს გარკვეული პლატფორმა და ეს პლატფორმა არა ერთხელ გადაცემულა ტელეგრაფით და რადიოთი მსოფლიოს საყურადღებოთ. სამუსლიმანო საქართველო აერთიანებს არა მარტო ერთ კუთხეს, არამედ მესხეთ-ჯავახეთს, არტაანის და მთელი ბათომ-ართვინის ოლქს. მთელი ეს მხარე, როგორც ერთი მთელი შეადგენდა მთლიან საქართველოს განუყრელ ნაწილს, სადაც ავტონომიური მართველობა მშობლიურ სახელმწიფო ენით განამტკიცებდა სამუსლიმანო საქართველოს ხალხის ცხოვრებას და მომავალს.

ჰასან ლორთქიფანიძის განცხადებით ეს ხალხი „აჭარისტანის მეჯლისში“ მონაწილეობას სრულიად არ იღებს.

— როდის და როგორ შესდგა „აჭარისტანის მეჯლისი?“

— „აჭ. მეჯლისისათვის“ მოხდა არჩევნები ამ წლის 6 მაისიდან. არჩევნები არ ყოფილა ბარათებით, იქმნებოდა ყრილობები სოფლების მიხედვით და ასე ირჩევდნენ წევრებს. გამორკვეული არ არის დღესაც თუ რამდენმა კაცმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. ქალებს არ უსარგებლიათ თავიანთი უფლებით.

სულ „აჭარისტანში“ შედის ჯერ ზემო აჭარა, ქვემო აჭარა და ქობულეთი, თუმცა „აჭ. მეჯლისი“ ფიქრობს, რომ თავისი გავლენა გაავრცელოს ლაზისტანის აქეთა მხარეს.

„აჭარისტანი! მეჯლისი"-ს პრეზიდიუმია—ჰასან ლორთქიფანიძე, ამხანაგები ზია ხარაზი და მემედ ეფენდი ბეჟანოღლი, მონაწილეობა სხვა და სხვა კომისია მეჯლისისა ზ ჯერ-ჯერობით წევრნი იწვევიან, ზოგადი ხასიათის მუშაობას აჭარის სოფლებში. წევრთა უმრავლესობა მეჯლისის რეზიდენციაში—ქ. ბათომში ცხოვრობს.

— როგორ დაიბადა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი?

— ის არ იყო ხალხის მიერ არჩეული, ჩვენ [illegible] და საქართველოს რევკომიც ჩვენ გვცნობს. მემედ ბეგ აბაშიძესთან ლოიალური დამოკიდებულება გვაქვს.

— სცნობთ თუ არა თქვენ საბჭოთა სისტემას?

— ჩვენ—ამბობს ჰასან ლორთქიფანიძე—სავსებით ვსცნობთ საბჭოთა სისტემას, პირადად მე სოციალისტი ვარ. მეჯლისის არსებობა დროებითია და საქართველოს რევკომის დეკრეტი არსებობს, რომლითაც საბჭოები მოწვევა და სამისოთ არჩევნები მონდომილი ჩვენა გვაქვს.

— როგორ უნდა მოეწყოთ „აჭარისტანი?"

— „აჭარისტანი" უნდა მოეწყოს საქართველოსთან ავტონომიის საფუძვლებზე. სათანადო მემორანდუმი წარდგენილი გვაქვს 14 ივნის. საბოლოო პასუხი ჯერაც არ არის მიღებული. კულტურის დარგში თითქმის დამოუკიდებლები ვიქნებით, საერთო იქნება რკინის გზა, სამხედრო ნაწილები, ფინანსები, ჯარი და სხ.

— როგორ უყურებთ თქვენ ენის საკითხს?

— ენის შესახებ ჩვენ მემორანდუმში არაფერი გვითქვამს. ჩვენში ლაპარაკობენ ქართულად ზ ჩვენ ქართულად ვლაპარაკობთ, საქმეებს ვაწარმოებთ საჭიროების მიხედვით ქართულადაც, რუსულადაც, თათრულადაც.

— გაქვთ თუ არა ქართული ენა სახელმწიფო ენად დასახული?

— ამ გვარად ეს საკითხი არ გვაქვს დაყენებული.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება დედა საქართველოსთან.

— საქართველოდან ჩვენ იმას მოვითხოვთ, რაც გვწამს და რისთვისაც ვმუშაობთ. ყოველშემთხვევაში ჩვენს მოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ტაქტიკას და მიზნის მიღწევისათვის გამოვიყენებთ ყველა ძალებს.

— როგორ უყურებთ თქვენ სარწმუნოების საკითხს?

— სარწმუნოების საკითხი ჩვენი ხალხისათვის მტკივნეული და მნიშვნელოვანი საკითხია ჯერ-ჯერობით არ შეიძლება ლაპარაკი სარწმუნოების სკოლიდან განთავისუფლებაზე.

— როგორ უნდა ასწავლოთ ბავშვებს ყურანი, როცა იგი არაბულად არის შედგენილი და ძნელი გასაგებია არა მარტო ქართველი მუსლიმანისათვის, არამედ ნამდვილი თურქისათვის?

— ყურანს ვასწავლით ოსმალურ თარგმანის მიხედვით.

ხანგრძლივი საუბრის შემდეგ „აჭარისტანის მეჯლისის" წევრები გამოემშვიდობენ თანამშრომელთ. რედაქციამ სთხოვა წევრებს იმ მემორანდუმის ასლი, რომელიც მათ წარუდგინეს საქართველოს რევკომს ივნისის 14, გაზეთში დასაბეჭდად.

## სადღეისო წერილები

2

**კაპიტალიზმის დეგენერაცია.**

როგორც მოსკოვიდან მოსული რადიო გადმოგვცემდა კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე კონგრესზე ამხ. ლ. ტროცკიმ მოახსენა გაკვეთა თანამედროვე ეკონომიური ვითარებისა და საერთოდ კაპიტალისტური მეურნეობის შესახებ. ამხ. ტროცკის შეხედულება შეიძლება შემდეგი სიტყვებით გამოვსთქვათ; კაპიტალიზმი საშინელ კრიზისს განიცდის და მას არ აქვს არავითარი საშუალება და გზები რესტავრაციისა და აღორძინებისათვის. ეს შეხედულება მთელი კომინტერნის სახელმძღვანელო დებულებად შეიქნა და აქედან იქნა შემუშავებული პრაქტიკული მოქმედების გეგმები კომუნისტურ და რევოლუციონურ პარტიებისათვის, ასეთი დასკვნა გაუკეთა საერთაშორისო რევოლუციონურმა ორგანიზაციამ თანამედროვე ეკონომიურ ვითარებასა და კაპიტალიზმს და შეიმუშავა მიზანშეწონილი რევოლუციონური საშუალება მისი საფუძვლებით განადგურებლად და დასამარხად.

მეორეს გზით წარსულ თვეში ასეთივე მოხსენებით წარსდგა კაპიტალისტური ევროპის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი ლოიდ-ჯორჯი ლონდონის მაგნატებიც და კაპიტალისტების წინაშე და მომხიბლავი სურათები გადაუშალა კაპიტალიზმის აღორძინებისა და წინსვლელობის შესახებ. იმპერიალისტების პრაქტიკული გეგმები ჩვენთვის ნათელი და გარკვეულია: მათ სურთ ურთიერთ შეთანხმებისა და ინტერესთა შეფარდების ნიადაგზე განამტკიცონ კაპიტალიზმის ბატონობა და ხელი შეუწყონ მის აღორძინებას.

ამგვარად ორი მსოფლიო, ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე კლასი გარკვეულ გამოსთქვამენ თავიანთ შეხედულებებს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და პრაქტიკულ საქმიანობის გეგმებს იმუშავებენ მასთან დამოკიდებულებისათვის. კომუნისტური ინტერნაციონალი საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციონური შტაბია და იგი თავის გარშემო თავს უყრის კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის დამრღვეველ ძალებს. მისი გადაწყვეტილებები დადგენილებანი სახელმძღვანელოდ ხდება მრავალ მილიონი მშრომელი მასებისათვის ზ კაპიტალიზმს დამბალ ხვედი ელემენტები ორგანიზაციულად ყალიბდება და რეალურ ძალად იქმნება მთელს მსოფლიოში.

ამ გვარად ბრძოლა შრომასა და კაპიტალს, სოციალიზმსა და კაპიტალიზმის შორის რეალურად ვითარდება და სადღეისო მოქმედების საგნად.

ვის მხარეზედ არის გამარჯვების შანსები? ვის გამარჯვებას უწყობს ხელს თანამედროვე რეალური მიმდინარეობა, ვინ არის მართალი თავის დებულებებში ლოიდ-ჯორჯი თუ ტროცკი, კომინტერნი თუ ვერსალი?

რევოლუციონური გამარჯვებისათვის არ არის საკმარისი მარტო დარაზმვა და შექმნა რევოლუციონური კადრებისა; აგრეთვე საჭიროა ამ სუბიექტიური მომენტებთან ერთად რევოლუციის ვითარებას ხელს უწყობდეს ობიექტიური პირობები, მსოფლიოს მატერიალური და სოციალ-პოლიტიკური გარემოებანი.

მსოფლიო რევოლუციის ვითარებას და გამარჯვების შანსებს ჰქმნის არა მარტო მრავალ მილიონიანი რევოლუციონური რაზმების ენერგია და სუბიექტიური სურვილები, არამედ ის ობიექტიური გარემოებაც, რომელიც მსოფლიოში შეიქმნა იმპერიალიზმის ბატონობითა და საერთაშორისო ომის ზეგავლენით.

დიდმა ომმა შესცვალა მსოფლიო ცხოვრების რუქა, შეარყია ეკონომიური ცხოვრების მიმდინარეობა და კაცობრიობა ახალს შესაძლებლობის წინაშე დააყენა.

ომის ზეგავლენა მსოფლიო ცხოვრების ვითარებაზე და მისი შედეგები მრავალ მნიშვნელოვანი მომენტებით ხასიათდება.

ომის გავლენით კაპიტალიზმის მექანიკა გატყდა, კაპიტალისტური მეურნეობის სტრუქტურა და საფუძვლები დაიშალა, დაირღვა მსოფლიო მეურნეობის ორგანოები და მისი შემადგენელი ნაწილები ცალცალკე გზით განაგრძობენ მსვლელობას.

ომმა უდიდესი ეკონომიური კრიზისები შექმნა და დასცა მრეწველობა მთელს მსოფლიოში. ომის ეკონომიური შედეგები და მისი გავლენა მსოფლიო ცხოვრების ვითარებაზე მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ დოვლათის განიავებაშიც გამოიხატა. ომში მსოფლიომ დაჰკარგა 200 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებული სიმდიდრე; ომის ღმერთმა მსხვერპლად შეიწირა 20 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე და ამით შეამცირა მშრომელთა არმია. გაცვდა და განადგურდა საწარმოო იარაღები და შემცირდა საწარმოო ძალთა განვითარება.

თავისთავად ომი არაფერს ახალს არ ქმნის მისი როლი შექმნილი დოვლათის დარღვევაში, განადგურებაში და განიავებაში გამოიხატება; მას არ ახასიათებს შემოქმედებითი ელემენტი; ის წარმოების დამღუპველსა და გამანადგურებელს მოვლენებს ქმნის.

ომმა თვით წარმოების წესი შესცვალა და მთელი წარმოების ვითარება ომის მიზნებს დაუმორჩილა. ყოველივე ომისათვის,—აი მაშინდელი სადღეისო ლოზუნგი. მრეწველობა ნორმალურს მიმდინარეობიდან სამხედრო ეპოქის ლიანდაგზე შესდგა და ამით თვით მსოფლიო წარმოების პროცესში მოხდა გარდატეხა. ომის დასრულებისას (!) წარმოების სამხედრო მდგომარეობიდან სამოქალაქო ვითარებაში გადასვლამ საგრძნობი ცვლილებები გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკის მიმდინარეობაში.

კაპიტალიზმი ამოვარდა თავის ნორმალურს კალაპოტიდან და გარკვევით დაიწყო მისი დეგენერაციის პროცესი.

ომის ეკონომიური შედეგები უდიდეს კრიზისებში გამოიხატება. დღევანდელი საერთა შორისო მეურნეობის მდგომარეობა ქალაქის ინდუსტრიისა, სასოფლო მეურნეობის და გაცვლის სფეროში კრიზისებით ხასიათდება. მსოფლიო ვერც ერთ დარგში ვერ ქმნის საჭირო დოვლათს. მასთანვე კაცობრიობა ფიქტიური კაპიტალით ქაღალდის ფულით გაიგერა.

მსოფლიო კაპიტალიზმის საფუძვლები, მისი მექანიკის მთავარი წყობილება შერყეულია და თანდათან ირღვევა.

ამგვარად მსოფლიოში ომის ზეგავლენით ახალი მომენტები და მდგომარეობა შეიქმნა. დღეა კაპიტალიზმის საწარმოო ძალთა განვითარებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. იმპერიალიზმმა მთელი კაცობრიობა ისეთს გარდუვალ ზღუდით შემოფარგლულს წრეში მოაქცია, სადაც მუდმივი ანარქია და არევ-დარევა არის გამეფებული. მსოფლიო ძალთა ქიდილი და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგობა ქმნიან ახალ-ახალ მომენტებს კაპიტალიზმის გასანადგურებლად.

ასეთს პირობებში კაპიტალიზმის რესტავრაციაზე ლაპარაკი ზედ-მეტია და არ შეესაბამება არსებულ სინამდვილეს. დღევანდელი ეპოქა კაპიტალიზმის დეგრადაციის, მისი დემორალიზაციისა და დაშლით ხასიათდება. კაპიტალიზმს არ აქვს საშუალება და პირობები მოახდინოს თავისი ძალების მობილიზაცია და უდიდესს კრიზისის წიაღში იღრჩება. მსოფლიოს ობიექტიური გარემოება და ომის მიერ შექმნილი პირობები დღეს კაპიტალისტური მეურნეობას წინ ეღობებიან და არ აძლევენ საშუალებას აღორძინებისათვის.

რევოლუციონურმა პროლეტარიატმა ალღო აართვა კაპიტალიზმის ასეთს ყოფას და რევოლუციონური აქტებით სცდილობს სასიკვდილო მახვილი ჩასცეს მის არსებობას.

ბრძოლა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის მოსასპობად რეალურად დასახა საერთაშორისო პროლეტარიატმა და თანამედროვე ეპოქას ეს ბრძოლა არსებით შინაარსსა და ხასიათს აძლევს.

ძველი მარქსისტული შეხედულება გვასწავლიდა, რომ კაპიტალიზმი თავისი განვითარების შინაგანი კანონებით დაირღვევა და ადგილს დაუთმობს ახალ სოციალურ წყობილებასო. აქ ობიექტური მომენტები კაპიტალიზმის შენებისა და მისი იმანენტალური კანონები თამაშობდნენ მთავრესს როლს. კაპიტალიზმის ვითარებამ დაგვანახვა, რომ ის თავისი შიგნით არ შეიცავს დამრღვეველ ელემენტებს და ჯერ აქვს შეძლება თავის განვითარებას ახალ ახალი ფორმები და შინაარსი მისცეს. კაპიტალიზმისთვის, შინაგანი სიკვდილით არ კვდება, ეს დებულება გარკვევით დაამტკიცა მარქსიზმის მემარცხენე რევიზიონიზმმა და კაპიტალიზმის გარდაცვალების პროცესში უდიდესი სუბიექტიური მომენტი შეიტანა რევოლუციონური აქტებისა და პროლეტარიატის დიქტატურის სახით. თანამედროვე ხანა ამ დიდი სუბიექტიური მომენტების გამოაშკარავების ეპოქაა. პროლეტარიატი თვით ერევა კაპიტალისტური ცხოვრების მიმდინარეობაში და პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდებით ცდილობს ძირიანად გარდაქმნას თანამედროვე ეკონომიკის სოციალური ურთიერთობა და გარკვეული სოციალისტური შინაარსი მისცეს მას.

კაპიტალიზმის ბატონობას პირველი განადგურებული მახვილი საერთაშორისთ ომმა ჩასცა; საერთაშორისო პროლეტარულს რევოლუციას მეორე და უკანასკნელი იერიში მოაქვს კაპიტალიზმის წინააღმდეგ მის სამუდამო მოსასპობად. კაპიტალიზმის ნამდვილი მესაფლავე პროლეტარიატია და საერთაშორისო რევოლუცია დღითი-დღე აღრმავებს ამ საფლავს კაპიტალიზმის დასასამარებლად.

ხ. დევიანი.

## J'acuse*)

საქართველოში ყოველი რიგიანი ადამიანი გრძნობს იმ ამორალური ფაქხანალიის მავნე მნიშვნელობას ახალთაობის ზრდისათვის, რომელსაც ბევრი ოთხიოდე წელიწადია, რაც რობაქიძის ეპიგონები იწვევიან საქართველოში, მაგრამ ჩვენში ბევრი იზიარებს ტოლსტოისტურ „ბოროტებას არ ეწინააღმდეგოს და დუმილით ეგებებიან ამ ბატონების სკანდალებს ქართულ ლიტერატურაში.

მე პროტესტანტულ ქვეყანაში გაზრდილი ქართველი გახლავართ და ჩემთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია ლოზუნგი ლეონ ტოლსტოისა:

„ბოროტებას წინ არ აღუდგე." რუსეთის გავლენამ ჩვენს სინამდვილეში ნაირ-ნაირი სიმახინჯის ტიპი დაბადა და გააჩინა. ჩვენში ხშირია გლახაკი სოციალიზმისათვის, გლახაკი პოეზიისთვის ჩვენს ლიტერატურაში რუსის იუროდივის ტიპი იშვა, რომელსაც გარდა რუსეთისა ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ. სიტყვა იუროდივი გადაუთარგმნელია. იუროდივი ენა დაბმული მჭევრმეტყველობაა, ეს სიტყვის სიბლგვე აბსურდულ ქარაგმებით მალავს თავის ინტელექტუალურ სიგლახაკეს და უნიჭობას.

ასეთი იუროდივთან არ მინდოდა სერიოზული გამოკამათება, მაგრამ რაკი მჭევრმეტყველ რობაქიძეს ამ ენა დაბმულ იუროდივისთვის მიუნდვია თავისი ვექილობა იყავ ნება მისი. ამიტომაც იძულებული ვარ გავსცე პასუხი, ამ დიდკაცს, რომელსაც დიდკაცებისაგან იდეების სესხება როდი უკმარნია, სახელიც მოუპარავს დიდ ტიციანისთვის ასე ამაოდ გასცვალა მან თავისი სამტრედიული ტიტე, იტალიანურ ტიციანზე. პატარა კაცმა რომ დიდიკაცის სახელი დაირქვას აქედან ისე არაფერი გამოვა, რომ მასხარის ჩაჩი მეფე ლირს დახუროთ და მეფე ლირის გვირგვინი ძის მასხარას.

ტიტე ტაბიძე თავის მხრით ცდილობს მეც დამიჭიროს ორმაგობაში. იგი იგონებს ჩემ წასვლას გაზეთ „სახალხო საქმი"-დან და სოც. ფედ. პარტიიდან. პარტიიდან მე წაველი როგორც კი საქართველო განთავისუფლდა. ეს იყო 1918 წ. როცა ტფილისის კომიტეტის არჩევნებში მოვხსენი ჩემი კანდიდატურა პარტიის კომიტეტის წევრობაზე, რადგანაც მე ვფიქრობდი, რომ თავისუფალ საქართველოში მე მხოლოდ კულტურულ მუშაობისთვის შემეწირა თავი, ხოლო 1919 წელს სექტემბრის პირველ რიცხვებში მე ჯერ კიდევ სახალხო საქმის თანამშრომელი ვიყავი, როცა ევ. გეგეჭკორმა ბერლინის საელჩოს მრჩევლად დამნიშნა.

ასე რომ ჩემი დანიშვნა, ფაქტიურად წინ უსწრებდა ჩემს გაზეთიდან გასვლას. გაზეთი „სახალხო საქმე" მაშინ მთავრობას ოპოზიციაში უდგა. მაშინდელი გაზეთის რედაქტორიც დამიმოწმებს, რომ მე იმ ამხანაგებს რომელთანაც ჩემი სიჭაბუკის საუკეთესო ათი წელი მითანამშრომლნია ერთ რამეში არ ვეთანხმებოდი: ჩემი პარტიული ამხანაგები ოპოზიციას აწარმოებდნენ მე კი მოვითხოვდი ლოიალურ მოპყრობას საქართველოს მთავრობისადმი მას შემდეგ რაც მთავრობა ეროვნულ მოღვაწეობის გზას დაადგა, რადგანაც მეგონა და ახლაც მგონია, რომ გადაჭარბებული ოპოზიციონური სული ასუსტებს ერის სახელმწიფოებრივ ტრადიციას და შეგნებას, ისიც ისეთ სახელმწიფოში როგორიცაა საქართველო, სადაც სახელმწიფოებრივი ეთოსი ეგზომ სუსტია. ლოიალურად ვეპყრობოდი მენშევიკურ მთავრობას და აწინდელ მთავრობისადმი ლოიალობის გამოჩენას ვიქადაგებ, თუ ეს მთავრობა ეროვნულ შემოქმედების უნარს გამოიჩენს. მაგრამ არც წარსულში დამიწერია [illegible] რეტები და [illegible] ქვეყნის [illegible] ექსპრომტები [illegible] ვას.

რაც შეეხება ჩემ დიპლომატიურ კარიერას, მე თქვენისთანა ტრაბახა ტარაკონელებთან პოლემიკაც ვერ მაიძულებს ჩემი დამსახურებათა ჩამოთვლას, მაგრამ ამას ყოველი საქმის მცოდნე დაამოწმებს, რომ თუ გერმანიაში მომქმედ ქართულ დიპლომატიას რამე გაუკეთებია გერმანია-საქართველოს და ხალხებისათვის, აქ მეც მიძღვს მცირედი წვლილი.

ვერც იმას იტყვის კეთილსინდისიერი ქართველი, რომ ჩემი წარსული საეჭვო იყოს.

საეჭვო იყო იმათი წარსული და იმათი აწმყო და მომავალიც საეჭვო იქნება, ვინც სერგეი გოროდეცკი და ავდევისთანა საქართველოს მტრებთან მეგობრულ განწყობილებაშია. ვინც ახლაც ბანკეტებს უმართავს ქართველი მწერლის სახელით, სხვა ზ სხვა, „ნარკომპროსის" ინსტრუქტორებს, რუსის და ებრაელის პოეტებს, რომელნიც ტფილისში რუსული ენის და კულტურის გაბატონების საქმეს ემსახურებიან, მე ასეთი უცხო კულტურათა აგენტებს ხელსაც არ ჩამოვართმევ თუნდაც ისინი, პოეტები კი არა ოლიმპიის მცხოვრებნიც იყვნენ. რადგანაც საქართველოს მტერს ჩემი პირადი მტრისაგან არასოდეს არ ვარჩევ.

ჩემს პასუხში მე რობაქიძეს ველაპარაკებოდი და ტიტე ტაბიძის აბდაუბდა „პოეზიის დღეზე" თითქმის უპასუხოდ დავტოვე ერთი იმიტომ, რომ ტიტე ტაბიძე გრ. რ—ძის თუთიყუშია და თუთიყუშთან ლაპარაკს, თუთიყუშის პატრონთან ლაპარაკი ვარჩიე.

კიდევ გაუმეორებ ამ თუთიყუშს, რომელსაც იმდენი დამოკიდებულება აქვს სალ ლოღიკასთან, რამდენიც მის გიჟ მღვდელს თუნდაც მალარიასთან, რომ მე ტ. ტაბიძის „პოეზიის დღის" მეთაურში დავინახე დაშინებული, იდეებით გაკოტრებულ კაცის უმწეო ბლუკუნი; იგი ჩვენში აწ შექმნილ სინამდვილეში ვერ გაერკვა—და 1921 წლის 7 მაისის გაზეთის მეთაურად გამოიყენა ერთი წლის წინად დასტამბული მეთაური, თანაც რიხიანად იმეორებდა „მარშანდელს შემდეგ საქართველოში არაფერი შეცვლილა" მაშინ როცა, მის წერილის გვერდით, მისი პატრონი აცხადებდა რომ თებერვალში საქართველოში რევოლუცია მოხდა და ქვეყანაზე კოსმიური რევოლუცია იწყებაო.

ტიტე ტაბიძე მე სმერდიაკოვს მეძახის?

ვისაც მე და ტიტე ტაბიძე უნახავართ ან წარმოუდგენივართ დეე იმან სთქვას ვინ უფრო ჰგავს ჩვენ ორში რუსის ბოსიაკს და სმერდიაკოვს.

რაც შეეხება ტიტე ტაბიძის მიერ ჩემი პოეტობის უარყოფას, მე სულაც არ მაინტერესებს თუ რას დამიძახებს მომავალი თაობა, მწერლობის რომელ კატეგორიას მიმაკუთვნებს. მე მაინტერესებს მხოლოდ ის, თუ რას გავაკეთებ პოზიტიურად. მე არ მემარჯვება ტიტე და გრიგოლსავით ჩემ გენიოსობაზე და პოეტობაზე ყბედობა. მწერალს იმდენი მოთმინება და სიდინჯე უნდა ჰქონდეს, რომ მომავალ თაობათა მსჯავრს მოუცადოს და არა ილაღადოს თავის პოეტებზე და „ხეთქილ გენიალობაზე". გრ. რ—ძე ტიტე ტაბიძეს ჩამოურჩა უტიფრობაში. იგი ხონტარიას სახლში ჩემს ზურგს უკან თავის ლექციის დროს, უშვილოდ [illegible]. უნდა მოვახსენო ამ თუთიყუშების მწვრთნელს, რომ ადამიანის პიროვნებას, ან ნაწერის კრიტიკას არც ერთი სერიოზული კაცი გვარის სიმბოლიკიდან არ დაიწყებს. გვარი! სიმბოლიკა რომ რამეს ნიშნავდეს, მაშინ შილლერი—ბრუციანი ყოფილა, რადგანაც შილლერ—გერმ. ბრუციანს ნიშნავს. ან შოპენ ჰაუერი, ლუდის ქილების დამტვრეველს და ვაგნერი—მეურმეს.

რაც შეეხება ჩემ ფილოსოფიის დოქტორობას ბ. ტიტე, თქვენი მოძღვარი რამდენიმე წელი ცდილობდა გერმანიის რომელიმე უნივერსიტეტის ფილ. დოქტორად გახდომას, მაგრამ ამ

*) მე ვბრალსა ვდებ!

123
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარისხს, გერმანიაში რუსის ურიების კოლონიებში ვლად. სოლოღუბზე ლექციების კითხვისთვის კი არ იძლევიან, არამედ შრომისა და უნარის გამოჩენისათვის.

ეს რომ ასე არ ყოფილიყო ლაპაციძელი სტუდენტი გრ. რ-ძე იუნივერსიტეტში არ გადაიხვეწებოდა. ეს ვაკმაროთ ჯერ ამ მართლაც სმერდიაკოვს, რომელმაც ტიციანი კი არა ბლიგიერი დანტეც რომ დაირქვას მაინც პოეზიის გლახაკი დარჩება, კულტურულ ქვეყნებში ტაბიძე რობაქიძისთანა ინტელექტუალურ ხლესტაკოვებს ამდენ თავხედობას არ აპატიებდნენ.

შეიძლება ჩვენ ღვთისგან დავიწყებულ საქართველოშიაც გამოჩნდეს ისეთი მშვილდოსანი, რომელიც მათ ისე გამორეკავს ხოშტარიას უპატრონოდ დარჩენილ სახლიდან, როგორც შინ დაბრუნებულმა მეფე ოდისეიმ გამოდევნა თავისი ცოლის მუქთახორა კუროები თავის ოჯახიდან.

მე ბრალსა გდებდით, ჩემ პირველ და მეორე წერილში, ინტელექტუალურ ორმაგობაში და ინტელექტუალურ მლიქვნელობაში, მე ბრალს გდებდით ქართველების რენეგატობაში და მონურ ეპიგონიზმში. ვერც რობაქიძემ და ვერც ტიტე ტაბიძემ უხამსი გინების მეტი დასაბუთებული პასუხი ვერ გამსცეს.

ახლაც ვიმეორებ:

J'acuse!

კონსტანტინე გამსახურდია.

# ჩემი განმარტება.

სოფლების სახელობის სასახლეში მიწვევით მე წავიკითხე მოხსენება შესახებ ქართულ ლიტერატურის მაგისტრალური ხაზებისა. მოხსენების შესახებ „სოციალისტ-ფედერალისტში“ დაიბეჭდა ორი წერილი. ორივე წერილი დაწერილია იმ ტონით, რომელსაც შეუძლიან ქართველ საზოგადოებაში არასასურველი გაზიარება გამოიწვიოს. ამისთვის მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ოქმის სისწორით აღვადგინო ჩემი ნათქვამი მის შესახებ, რასაც შეუძლია გაუგებრობის ნიადაგზე ფართო წრეებში უმართებულო აღელვება გამოიწვიოს.

რუსთაველის შესახებ მე ვსთქვი შემდეგი. რუსთაველმა მისცა ქართულ სიტყვას სისრულე. გამოთქმის ენერგია მის სიტყვაში დიდია მეტად. ამ მხრით იგი ნამდვილი გენიოსია. რუსთაველის შემდეგ იწყება სიტყვის დეკადანსი. სიტყვის სიძლიერით რუსთაველმა გადალახა საუკუნოები და მეფურად მიადგა იგი მეოცე საუკუნე. მეოცე საუკუნეში ახალმა პოეზიამ იწყო სიტყვის გადახალისება. ლიტერატურული ფორმა სიტყვის წარმოშობა ახალი. სიტყვის ენერგიამ იპოვა სხვა გვარი სიმართლე. გამოთქმის ძალამ მონახა თავისებური რიტმი. რუსთაველს ამ მხრით ბოკიშვილიც ჰყავს.

როგორც ხედავთ, აქ სულ სხვა რამ არის ნათქვამი. სად არი აქ სათქმელი, ვითომ მე ჩემი თავი დაუპირდაპირე რუსთაველსა და დავამარცხე იგი?! ასეთი რამ არა თუ ჩემი თავის შესახებ არ მითქვამს, არ მითქვამს მთელი ჩვენი ესთეტიური ჯგუფის შესახებაც. გარდა ამისა: სად არის აქ დამცირება რუსთაველის?! ის, რასაც მე ვლაპარაკობ რუსთაველის შესახებ, ჩვეული მოვლენაა ყოველს ლიტერატურაში და მის აუცილებლობას ვერ გადაურჩება ვერც ერთი გენიოსი. ამის დისკუსიული ინტერპრეტაცია შეურაცხყოფად მიმაჩნია ქართული ლიტერატურისა (—უკანასკნელის შესახებ მე უკეთესი აზრისა ვარ) და სიტყვას არ ვაგრძელებ.

რასიული „სუმბური“ თბილისს ებება. ამის შესახებ მე უკვე მქონდა წერილი „საქართველოში“ (მხოლოდ იქ სხვა საბაბით: ვლაპარაკობდი პიესაზე „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“). თბილისმა მოგვცა „მოქალაქის“ ტიპი: ნამდვილი ეთნიური „სუმბური“. მასში ყოველი ხაზია: ქართულიც, სომხურიც, აზერბაიჯანულიც, სპარსულიც. რამ გამოიწვია ეს „სუმბური“, ეს ისტორიის საქმეა: მე ეს ტიპი აქ მხოლოდ ლიტერატურულად მაინტერესებს. ამ ტიპმა შექმნა თავისებური ყოფა (быт) თავისებური თეატრი, თავისებური ლიტერატურა. ეს არის ერთი ხაზი ტფილისის. რაიგორც ეს ტიპი არ არის წმინდა ქართული რასსის, ისე მისი ლიტერატურაც არ არის წმინდა ქართული სტილის. სხვადასხვაა პსიხიკა—სხვადასხვაა სიტყვაც. ამ მოვლენამ ქართულ ლიტერატურას („ქართის“ ეთნიური ელემენტისას) რამოდენიმეთ სტილი შეურყია და სხვანაირად გახადა.

ეს არის ჩემი აზრი. რა არის აქ ანტი-პატრიოტული, მე არ მესმის, თუ ტფილისში არის ეთნიური „სუმბური“ უკანასკნელისაგან იგი უნდა გაიწმინდოს, აი ერთად ერთი დასკვნა. თავის თავად ცხადია, რომ მე სხვა დასკვნა არ დამებადებოდა: სწორედ სტილის დაწმენდის მიზნისათვის შევეხე ამ „სუმბურს“.

აი ჩემი განმარტება.

რაც შეეხება ჩემს კარიერიზმსა და ანტიპატრიოტობას, ამის შესახებ ლაპარაკი სრულიად ზედმეტად მიმაჩნია, რამდენაც ჩემს კარიერიზმსა თუ ანტიპატრიოტობას მხოლოდ ბრაზმორეული მტერი თუ დაიჯერებს ჩემი.

გრიგოლ რობაქიძე.

# იმპერიალიზმი და კოლონიალური პოლიტიკა.

6.

### ჩვენი ახალგაზრდობას

ჩვენ დავახასიათეთ პროცესი იმპერიალიზმისა, მისი ტენდენცია და ლტოლვა მსოფლიო პატრონობისაკენ. ეხლა გადავიდეთ თუ როგორი საშვალებებით შეიჭრა კაპიტალისტური ქვეყნები ჩამორჩენილ კუთხეებში და როგორი იყო მისი პოლიტიკა კოლონიებში.

ჯერ კიდევ ძველად ევროპის ვაჭრები ძიდიოდნენ ჩამორჩენილ ქვეყნებში, სარგებლობდნენ მათი გულუბრყვილობით და სძარცვავდნენ მათ. მაგ. აფრიკიდან გამოჰქონდათ სპილოს ძვლები, ძვირფასი ფრები და სხვა. შემდეგ იწყება მაღნებით გაყიდვა ველურების და თანდათან ფეხს იკიდებს კაპიტალიზმის კულტურული მუშაობა. 1602 წ. შესდგა ოსტ-ინდიის კომპანია, რომელმაც, რამდენიმე წლის შემდეგ თავისი დროშა აფრიალა აფრიკის სამხრეთ კუთხეშიც.

კაპიტალიზმა კოლონიებში შეიტანა პირველად არაყი და თოფის წამალი, მან კოლონიას გამოაცალა საქმელი პროდუქტები, რაც უპირველესი და ერთად ერთი მოთხოვნილებაა ველურური კოლონიის და სამაგიეროდ მას ძიაწოდა მანუფაქტურა და სხვა საქონელი. იარაღის შეძენამ ჩამორჩენილ ქვეყნებში გამოიწვია ომი და რამდენიმე ტომი სრულიად განადგურდა ბრძოლის პროცესში ახალმა წყობილებამ კოლონიას ხელიდგან გამოაცალა იგი და შემდეგ არაყისა და თოფის წამლის საშუალებით ხელი აიღებია ველურებს მიწაზე და ისინი დაქირავებულ მონებად აქცია.

არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მეტროპოლიის წინააღმდეგ იარაღით ხელში არ გამოსულიყო კოლონია, მაგრამ ადვილი არ იყო ძლიერი მეტროპოლის დამარცხება. გავიხსენოთ ინგლის-ბურების ომი, ფრანგებისა და გამეიცების ომი, ინგლისის სამარცხვინო დამარცხება ახალშენების მიერ 1879 წ. მეუდრეკელი წინააღმდეგობა ძაგდის სამეფოსი, იტალიელების დიდი დამარცხება აბისინიაში, ოვაგოს წინააღმდეგობა პორტუგალიის მიერ თავდასხმაზედ, აზიაში მომხდარი ომები კოლონიებსა და მეტროპოლიის შორის, გერმანიის ომი გეგეროებთან და სხვა.

კოლონიონალური პოლიტიკის შედეგია: ნაციონალური სიმდიდრის გატანა ქვეყნიდგან, მაშინ როდესაც ამ სიმდიდრეს საჭიროებს ქვეყნის უმრავლესობა. საკუთარი ხალხის ექსპლოატაცია, რომლის ხარჯზედ არის შექმნილი პროდუქტი და უცხო ხალხის ექსპლოატაცია, რომელიც ამ პროდუქტთა ზედმეტი მოგებით იხარჯება.

მაგრამ ამით არ სრულდება კოლონიონალი პოლიტიკა. ჩვენ ვიცით, რომ მეტროპოლიას წინააღმდეგობას უწევს კოლონია და საჭიროა ხდება სამხედრო ძალის შექმნა. ამ მიზნით ხდება რკინის გზის გაყვანაც კოლონიებში, რომელსაც ორი დანიშნულება ეძლევა. პირველი; საჭიროების დროს შესაძლებელი გახდეს ჯარის მიწოდება და სტრატეგიული პუნქტების დაკავება, მეორე—უფრო ადვილად მოხერხდეს კოლონიის სიმდიდრის გაზიდვა მეტროპოლიაში. სწორედ ამიტომ იყო, რომ რკინის გზის გაყვანამ ჩინეთში სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია ფართო მასაში, ასეთივე მოვლენის ადგილი ქონდა კუნძულ იავაზედ.

სამხედრო ძალის გაძლიერებისათვის კაპიტალისტურმა ქვეყნებმა დიდი ხარჯი გასწიეს. მარტო გერმანიამ 1906 წ. გაიღო 939 მილ. მარკა, თითქმის ერთი მილიარდი. ამავე წელს გერმანიის არმიაში ირიცხებოდა 614,363 ჯარის კაცი, ხოლო ფლოტში 43,669, სულ 658,032 *).

ცხადია, რომ არა თუ დანაკლისი იყო ამოდენი კაცის გაცდენა, როგორც სამუშაო ენერგიის, არამედ იგი სარჩენი იყო ქვეყნის, რომელსაც მილიარდი უნდებოდა, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ.

კაპიტალიზმმა ევროპის მასების პროლეტარიზაციით მოამზადა ნიადაგი ემიგრაციისა, რომელნიც სამუშაოს საძებრად უნდა გადახვეწილიყვნენ უცხოეთში და კოლონიზაციისათვის თავისუნებურად ხელი უნდა შეეწყოთ. ევროპის ემიგრანტთა თავშესაფარად ამერიკა შეიქმნა და 1821—1900 წლამდე გადასახლებულთა რიცხვი 19,468,903 მდე ავიდა. მცხოვრებთა სიმრავლემ ხელი შეუწყო ამერიკის სასოფლო მეურნეობის განვითარებას და კიდეც იწყება ამერიკის პურის ექსპორტი, რომელიც საშინლად სცემს ევროპის პურის ფასს და ევროპა იძულებული ხდება საბაჟოების სიმკაცრით დაიფაროს თავი ამერიკის კონკურენციისაგან.

ეხლა კი დასავლეთ ევროპაში აღარ არის შესაძლებელი მასების გარდახვეწა უცხოეთში. მხოლოდ პოლონეთში და გალიციაში, აგრეთვე რამდენიმედ იტალიაში თუ არის მოსახერხებელი ასეთი პროცესი, რომლიდგანაც ემიგრაციის შედეგი ჩრდილო-ამერიკაში და არგენტინაში ემჩნევა. კოლონიონალი პოლიტიკისათვის ასე ადვილი არის თავისუფალი. დღეს მთელი ყურადღება აზიისაკენ არის მიპყრობილი, სადაც კიდევ შესაძლებელია ამ პოლიტიკის ნიადაგის ძებნა. აქაც ცხადია საქმე უმტკივნეულოდ არ დასრულდება, ისე, როგორც არასოდეს არ დასრულებულა უმტკივნეულოდ მეტროპოლიის სწრაფვა.

დღევანდელი სურათი კოლონიების განაწილებისა შემდეგია: მილიონ კვად. კილ. და მილიონ მცხოვრებზედ 1914 წ. იყო:

| | კოლონია (მილ. კვ. კ.) | კოლონია (მილ. მცხ.) | მეტროპოლია (მილ. კვ. კ.) | მეტროპოლია (მილ. მცხ.) |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 33,5 | 393,5 | 0,3 | 46,5 |
| რუსეთი | 17,4 | 33,2 | 5,4 | 136,2 |
| საფრანგეთი | 10,6 | 55,5 | 0,5 | 39,6 |
| გერმანია | 2,9 | 12,3 | 0,5 | 64,9 |
| შეერ. შტატები | 0,3 | 9,7 | 9,4 | 97,0 |
| იაპონია | 0,3 | 19,2 | 0,4 | 57,0*) |

ამ ცხრილიდან აშკარაა გიგანტიურობა კოლონიალი პოლიტიკისა.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლონიები თავისი საექსპლოატაციო ნიადაგის მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე ხარისხად დაიყოს:

1. სამიწათმოქმედო კოლონიები (მაგ. კანადა, ავსტრალიის კოლონიები)
2. ძვირფასი მადნეულობის კოლონიები (მაგ. ვესტინდია და სამხრეთ ამერიკა)
3. პლანტაციების კოლონიები (მაგ. ბრაზილი სამ. ამერიკა და სხვა).
4. სავაჭრო კოლონიები (მაგ. ვესტინდიის კუნძულები და სხვა.)
5. დამნაშავეთა გადასასახლებელი კოლონიები (მაგ. კალედონია)
6. ნავთსადგურები, არხები და გზები.

ყველა ტიპისა და ხარისხის კოლონია მაინც ერთი მიზნის ქვეშ არის მოქცეული, ეს მიზანია მათი ეკონომიური ექსპლოატაცია და რამდენად ამისათვის საჭირო ხდება, პოლიტიკური დამონება. სამრეწველო კაპიტალი კი პოლიტიკურ დამონების აუცილებლობის საჭიროებს. ასეთია დღეს ფინანსიური კაპიტალის ეკონომიური პოლიტიკა. მისი მიზანია საკუთარი ნაციის გაძლიერება ან უფრო სწორედ ნაციონალური ბურჟუაზიის გაძლიერება მთელ მსოფლიოზედ. მისი იდეალია არა თავისუფლება, არამედ მონობა. იმპერიალიზმის პოლიტიკაა საკუთარი ქვეყნის გაბატონება მსოფლიოზე. ეს არის უკანასკნელი ფორმა კაპიტალიზმის, რომელიც კოლონიალ პოლიტიკაში ყალიბდება.

კაპიტალიზმის გამარჯვება თუ კი გაიმარჯვა მან, შექმნის ახალ პოლიტიკურ და ეკონომიურ კონიუნქტურას მსოფლიოს მაშტაბით და ამ რკალში იქნება ჩვენი პატარა ქვეყანაც. თუ როგორი იქნება ჩვენი მდგომარეობა კაპიტალიზმის გამარჯვებისას ამაზე შემდეგ.

ხერ. ამაღლობელი.

*) Правда: „Колониональная пол. и круш. капит. строя“ გვ. 20.

*) Микелян. „эконом. полит. финан. капит.“ გვ. 74.

# ახალი ამბები

— **კონცერტი.** ორშაბათს, ივლისის 11 ყოფილ ქართულ კლუბის საზამთრო შენობაში შესდგება ერთად-ერთი კონცერტი ცნობილ მომღერალ ქალის ა. ნ. რუბენქონსკისა, რომელიც ასრულებს ინტიმიურ და მხიარულ სიმღერებს.

— **საფუტკრის ყიდვა.** მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა შეიძინოს 12 მილიონ მანეთად „საქ. საზოგ. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის“ საფუტკრე-ადგილის სისხლის საზოგადოებას დაუტოვებენ ორ სკა ფუტკარს.

— **სამეთლო-სანიტარო საქმე.** საქართველოს ს. ს. რ. რევკომმა დაამტკიცა მიწათმოქმედების სამეთლო სასანიტარო განყოფილების დებულება და შტატი, დებულების თანახმად მიწათმოქმედების კომისარიატს თავის საქალაქო და სამაზრო ორგანოებთან ერთად ევალება სამეთლო სასანიტარო საქმის წარმოება მთელს რესპუბლიკაში. განყოფილება უნდა შესდგეს სამი ქვეგანყოფილებისაგან: საინჟინრო, ეპიზოოტოლოგიური და სამკურნალო. სამაზრო განყოფილებასთან არსდება სამაზრო სამეთლო სანიტარო ქვე-განყოფილებანი, მხოლოდ ქალაქებში ქალაქის რევკომების სათანადო ორგანოებთან არსდება აგრეთვე სამეთლო განყოფილება.

— სამშაბათს, 12 ივლისს, ნაძალადევის მუშათა კლუბში, წარმოდგენილი იქნება აზიური ოპერეტა „არშინ-მალ-ალან“. მონაწილეობენ საუკეთესო ძალები. ბილეთები ამ თავითვე იყიდება კლუბის კასაში. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

— სამშაბათს, 12 ივლისს, დილის 11 საათზე სახელმწიფო საოპერო თეატრში იქნება კონკურსი იმათთვის, ვისაც სურვილი აქვთ იმსახურონ სახელმწიფო საოპერო თეატრის ბალეტში.

— **ქალთა კრება.** ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოება დღეს, 10 ივლისს დილის 10 საათზე ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მართავს საზოგადო კრებას. შესასვლელი სობორის მხრიდან.

— **ს. ფაშალიშვილის საღამო.** ხუთშაბათს ივლისის 14-ს ქართული კლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართება პოეტის ს. ფაშალიშვილის საღამო. საღამო მეტად საინტერესოდ და შინაარსიანად არის შედგენილი. მონაწილეობენ ტფილისის საუკეთესო ძალები.

— **უცხო ენების** პირველი ქართული კურსები თამარ თაქთაქიშვილისა, შეწყვეტილია დროებით სწავლა კურსებზე სექტემბრიდან სწავლა ისევ დაიწყება გერმანული ენის მასწავლებლად მოწვეულია ილია ფ. ყიფშიძე. იტალიურისა—ქ. ნინო ყიფიანი, ინგლისური—ქ ფ. ჩერქეზიშვილისა.

— **ქართლის ბორანი.** ქართლის რევკომი აღძრა შუამდგომლობა 10 მილიონი მანეთის გადადების შესახებ ქართლის ბორნის შეკეთებისათვის.

— **გოდერძის უღელტეხილი.** სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტმა დაადგინა მიმართოს შუამდგომლობით საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევკომს, რათა აგანიჭოთ მიეცეს მას 10 მილიონი მანეთი გოდერძის უღელტეხილის შესაკეთებლად.

— **დ. პავლიაშვილის საღამო.** სამშაბათს, 12 ივნისს ქართულ კლუბის საზაფხულო ბაღში გაიმართება საინტერესო საღამო რეპორტიორ დავით პავლიაშვილისა. საღამო გაიხსნება სიტყვებით, რომელსაც წარმოსთქვამენ პავლე იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ვახტანგ კოტეტიშვილი. შემდეგ მთავრობის გუნდი კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულებს საუკეთესო ეროვნულ სიმღერებს. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობენ პოეტნი: იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ია ეკალაძე, ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი პ. ირეთელი; მსახიობნი ალ. იმედაშვილი, გ. ჰიაურელი. საკონცერტო ნაწილში ოპერის მომღერალნი ვანო სარაჯიშვილი, კურიბატოვი და ქურხული.

როიალთან ქანა ფხალიაშვილი. თვით პავლიაშვილი წაიკითხავს იუმორისტულ ახალ ამბავს. დასასრულ თარხნიშვილების გუნდი შეასრულებს სხვადასხვა სიმღერებს.

# რადიო

### უმაღლესი საბჭო.

**ლიონი,** ივნისის 27. „როისტერ“-ის სააგენტო იტყობინება, რომ უმაღლესი საბჭო შეიკრიბება ბულონში ივლისის შუა რიცხვებში.

### დემობილიზაცია საფრანგეთში.

**ლიონი,** ივლისის 27. კვირას მოახდინეს დემობილიზაცია სამხედრო მოსამსახურეებისა, რომელნიც გაწვეულნი იყვნენ 1919 წ. და ირიცხებიან საფრანგეთის შინაგან გარნიზონის ნაწილებში.

### პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების კონგრესი.

**ლიონი,** ივნისის 27. ჩრდილოეთ საფრანგეთის მუშათა გაერთიანებულ კონგრესმა ლიონში თავის სხდომაზე ივნისის 26 230 ხმის უმეტესობით. შრომის გენერალურ კონფერენციისათვის მდივნათ აირჩია დიუმილენი, ყოფილმა მდივანმა მუსომ მიიღო 126 ხმა. მიღებულია დადგენილება, რომელიც ამტკიცებს დებულებას გაერთიანებათა დებულების შესახებ.

### საბერძნეთი გაკიცხვა.

**ლიონი.** 27 (6). საფრანგეთის პრესსა ერთხმად კიცხავს საბერძნეთის მთავრობას ანტანტის შუამდგომლობაზე უარის განცხადებისათვის. ეს უარი საბერძნეთს მოუტანს სამწუხარო შედეგებს გაზეთი „მატენი“ სწერს: საბერძნეთის მთავრობამ უნდა იცოდეს პარიზის მოლაპარაკება და გადაწყვეტილება, რომელი ართმევს საბერძნეთს სმირნას და შეიძლება ფრაკიასაც. მეფე კონსტანტინესათვის შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელიც ემუქრება ტახტის დაკარგვით. თავისი პირადი თავმოყვარეობის გამო ის უარს ამბობს იმ პირობებზე, რომლებიც მიიღეს პარიზში. ამით უარესდება ყველა ის უპირატესობა, რომელიც მიანიჭა სევრის ხელშეკრულებამ. ამნაირი ტაქტიკა, კონსტანტინეს მიიყვანს ტახტიდან გადადგომამდე. ამისთვის ცხადია, კონსტანტინეს დარჩენია, მხოლოდ ის, რომ მიენდოს სამხედრო ბედს და წავიდეს თავის გზით, სადაც არ უნდა მიიყვანოს ამ გზამ.

### თავდაცვის ორგანიზაციის დაშლა.

**ლიონი.** ივნისის 28. პრეზიდენტის დეკრეტით აღმოსავლეთ პრუსიისა და ბავარიის ყველა თავდაცვის ორგანიზაციები და რაზმები იშლება, დეკრეტში აგრეთვე ნათქვამია „ორგეშის“ ყველა ორგანიზაციის დ შლის შესახებ.

# სამედიატორო სასამართლო.

თედო ღლონტმა პავლე საყვარელიძე გამოიწვია სამედიატორო სასამართლოში იმ სიტყვების გამო, რომელიც გამოსთქვა პ. საყვარელიძემ რუსთაველის პროსპექტზე 28 მაისს.

თედო ღლონტის მხრივ მედიატორებათ დასახელებულ იქმნა გრ. რცხილაძე და ვახ. კოტეტიშვილი, პავლე საყვარელიძის მხრივ პეტრე ქავთარაძე და ივანე ჯაფარიძე.

26 ივნისს სამედიატორო სასამართლოს სწრაფად შედგენისათვის მხარეთა შეთანხმებით სასამართლო შესდგა შემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგი წევრებიდან—გრ. რცხილაძე, პეტრე ქავთარაძე და ივანე ჯაფარიძე თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გრ. რცხილაძე.

სასამართლო საჯაროდ სწარმოებს.

თავმჯდომარე; წინადადებას აძლევს თ. ღლონტს მოახსენოს სასამართლოს თუ რა ბრალსა სდებს იგი პ. საყვარელიძეს.

თ. ღლონტი: მოქ. პ. საყვარელიძემ შემდეგი ცილი დამწამა: თედო ღლონტი არის ბოლშევიკების მიერ მოსყიდული პიროვნება, აგენტი, როგორც ასეთი ღებულობს ბოლშევიკებიდან ფულებს და ამით აწარმოებს მუშაობას. ეს მე მიმაჩნია ცილისწამებად და ვთხოვ სასამართლოს განიხილოს, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს პავლე საყვარელიძის მიერ ნათქვამი.

პ. საყვარელიძე—ჩემი სიტყვები გადასცა თედო ღლონტს გრ. მიქაშავიძემ, რომელთანაც მე მქონდა ბაასი. მე არ მითქვამს, რომ თ. ღლონტი მოსყიდულია, ან რომ ის აგენტია. მე საერთოდ არაფერი მითქვამს თ. ღლონტის პირად ანგარიშზე. მე ვამბობდი მხოლოდ, რომ თ. ღლონტის გაზეთი ფინანსიურის მხრივ არ არის თავისუფალი, რომ იგი დამოკიდებულია მთავრობაზე, რომელიც მას ფულით ასაზრდოებს. ეს არის პასუხი თ. ღლონტის ბრალდებაზე.

თ. ღლონტი—სასამართლოში მე გამოვიწვიე პ. საყვარელიძე, ვგრძნობდი პირად შეურაცყოფას, სახელმწიფოდან ფულის მიღება გაზეთისათვის ჩვენს სურვილზე არაა დამოკიდებული. ვინაიდან გამოსცემს გაზეთს მთავრობის დახმარების გარეშე, არ არსებობს თავისუფალი წარმოების სისტემა, როგორც ძველად იყო. საზღვარ ჩვენ დამდგენილებები გვაქვს, ასევე გამოიცემიან რუსეთში ანარქისტების, მაქსიმალისტების და სხვა მემარცხენეების გაზეთები. ფულის მიღება გაზეთშიაც დავწერეთ და საზოგადოდ ამ წესზე და მდგომარეობაზეა ლაპარაკი და არა პირად საქმეზე. რადგან პ. საყვარელიძემ პირადად ჩემს შესახებ ბრალდება მოხსნა მე ვთვლი თავს დაკმაყოფილებულად.

ამის შემდეგ თავმჯდომარე სთხოვს დასტოვოს მხარეებმა დარბაზი.

მცირე ხნის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს მხარეთა საყურადღებოთ, რომ ვინაიდან თ. ღლონტი არ ხსნის თავის ბრალდებას პ. საყვარელიძის სიტყვის შემდეგ. ხოლო თ. ღლონტი არ უარყოფს, რომ გაზეთისათვის გამოტანილია ფული სახელმწიფოდან—სასამართლო არ ხედავს სადაო საკითხს და მიაჩნია საქმე დასრულებულად.

სასამართლოს ამ განცხადების შემდეგ პ. საყვარელიძე უფრო კონკრეტიულ ბრალდებას აყენებს: 1. თედო ღლონტის გაზეთი „სოც.-ფედ." არ არის და არც შეიძლება იყოს სახელმწიფოებრივ გამოცემა. მიუხედავად ამისა; იგი გამოდის სახელმწიფო ხაზინიდგან მიღებულ ფულით და საშუალებით. სტამბა კონტორა, ექსპედიცია, რედაქცია, სარგებლობს სახელმწიფო ხარჯით: საგაზეთო ქაღალდსაც თ. ღლონტი იღებს სახელმწიფო დაწესებულების თანხებით.

2. მიუხედავათ იმისა, რომ თ. ღლონტის გაზეთი, „სოც.-ფედ." ნივთიერად სახელმწიფოსაგან დამოკიდებულია და ფაქტიურად სახელმწიფოს საშუალებით გამოდის, მისი რედაქცია „გრუპკვროს-ტიდგან" ღებულობს, ვითომც წადებული გაზეთის ფასად, [illegible] თანხას—თვიურად ორ მილიონზე მეტს.

3. გარდა ამისა, თ. ღლონტი, სახელმწიფო ხელის-უფლებისაგან ღებულობს სხვადასხვა საჭიროებისათვის განსაზღვრულ თანხებს მილიონებით.

თ. ღლონტი: პ. საყვარელიძის განმარტების შემდეგ, რომ მას არ უწოდებია ჩემთვის მოსყიდული და აგენტი, და არც პირადი შეურაცხყოფა მიუყენებია, მე უკან მიმაქვს ჩემი ბრალდება და აღარ მიმაჩნია საჭიროდ სასამართლოს მიერ მისი განხილვა.

რაც შეეხება პ. საყვარელიძის კონტრ-ბრალდებას, უნდა განვაცხადო, რომ მე არ უარვყოფ, რომ გაზეთის გამოცემის საჭიროებისათვის, სახელდობრ სტამბისა, კანტორისა და ექსპედიციისათვის, ჩვენ საგანგებო, შეთანხმებით ვღებულობთ ფულს მთავრობისაგან და ამას არც ვმალავთ. მაგრამ უარვყოფ მეორე ნაწილს ბრალდებისას, თითქოს ვარდი გაზეთის ანგარიშების ქვეშ, ჩვენ ფული გვეძლეოდეს მთავრობისაგან სხვა და სხვა საჭიროებისათვის და პ. საყვარელიძემ უნდა დაამტკიცოს ეს მისი ბრალდება.

პ. საყვარელიძე თხოულობს, რომ თ. ღლონტის განცხადება შეტანილ იქნეს ოქმში, სახელდობრ, 1) რომ რედაქციას ოფიციალურ ბლანკებზე დაწერილ მოთხოვნით, გამოაქვს ფული მთავრობისაგან და 2) რომ მიღებულ ფულის ანგარიშში არ შედის ქაღალდის ღირებულება და არც სხვა რაიმე გარდა კანტორის ხარჯებისა. თ. ღლონტი აცხადებს, რომ როდესაც მთავრობა აგვიანებს ოფიციალურ ბლანკებით მოთხოვნილ ფულის გადახდას, ის კერძო ბარათებით პირადი ხასიათისა, სთხოვს ანგარიშის გასწორების დაჩქარებას.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ თავმჯდომარემ განუცხადა მხარეებს, რომ სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია, განხილულ იქნეს, ერთი გზით თ. ღლონტის მიერ პ. საყვარელიძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება, ვინაიდგან თუმცა თ. ღლონტმა განაცხადა, რომ პ. საყვარელიძის განმარტების შემდეგ იგი მზად არის უკან წაიღოს, თავისი ბრალდება, მაგრამ სასამართლოს მიაჩნია, რომ ამის შემდეგ რაც მოხდა და მით უმეტეს თ. ღლონტის წერილის გამოქვეყნებისა, რომელიც შეიცავს მეტად საწყენ სიტყვას პ. საყვარელიძისათვის, შეუძლებელია ერთი მხრის განცხადებით, ეს ბრალდება მოხსნილ იქნეს და იგი სასამართლომ არ განიხილოს.

მეორე მხრით სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია განხილულ იქნეს პ. საყვარელიძის კონტრ-ბრალდება, რომლის ერთი ნაწილი თ. ღლონტმა თუმცა აღიარა, მაგრამ მეორე ნაწილს უარყოფს.

ასეთია სასამართლოს გადაწყვეტილება განსახილველ საგნის საკითხში.

თუ მხარეები გამოაცხადებენ თანხმობას, რომ ისინი იზიარებენ სასამართლოს შეხედულებას და ემორჩილებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას, სასამართლო შეუდგება საქმის განხილვას.

მხარეები აღიარებენ ფორმალობას და სასამართლოც იწყებს მუშაობას.

(შემდეგი იქნება)

## ტელეფონი—ტრიბუნები

მოსკოვის „პრავდა" გვაცნობებს:

„არბატის, საბჭოს, სერპუხოვის, ედხოვის და ვოსკრესენსკის მოედნებზე, აგრეთვე სოკოლნიკებში ამ ჟამად სწყობა დადგმა მაღალი ხმით მოლაპარაკე ტელეფონებისა დიდ-ძალიანი რადიოებით, ე. წ.—ტელეფონი—ტრიბუნების. ჯერ ეს ტელეფონები გამოყენებულ იქნებიან ზეპირი გაზეთებისათვის, შემდეგ მიტინგებისათვისაც, აგრეთვე კონცერტებისათვისაც და სხვ. ლაპარაკი ერთი პუნქტიდან იქნება და ყველგან ერთსა და იმავე დროს გარკვევით გაიგონება. უკვე სწარმოებს შემდეგი გამოკვლევანი ამ აპარატის გასაუმჯობესებლად და იმედი არის მოკლე ხანში მივაღწევთ ბრწყინვალე შედეგებს. 15 ივნისს კომინტერნის ყრილობისათვის აღნიშნული აპარატი დაიდგმება მოსკოვში და განსაზღვრულ სადამოს საათებში იმუშავებენ, შემდეგში ეს ტელეფონი გავრცელდება მთელ საბჭოთა რუსეთში. რადიო ტელეფონის პრინციპების გამოყენებას ხმის გასაძლიერებლად აქვს უდიდესი მნიშვნელობა საქალაქთა-შორისო ტელეფონების ხმის გასაძლიერებლად და აგრეთვე საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელის მოწყობისათვის განსაკუთრებული ხარჯების გაუღებლად. მაგრამ არეობა კი ქალაქთაშორისო ტელეფონების ხაზისა კი ცუდია. შეკეთებისათვის კი საჭიროა ბრინჯაოს მავთულები, რომელიც არ იშოვება; არ არის თითქმის რკინის მავთულიც. დაიბადა აზრი გამომუშავებულიყო ხმის გამძლიერებელთა ტიპი. მის მავთულის დამუშავებისათვის მუშაობს დღეს ორი ლაბორატორია.

„ჩვენი შედეგები რადიო-ტელეგრაფის და რადიო-ტელეფონის სფეროში არის ნაყოფი მხოლოდ რუსი მეცნიერების გამოკვლევისა, რომელნიც მუშაობენ და განაგრძობენ მუშაობას საბჭოთა რუსეთში. წარწერა რ. ს. ფ. ს. რ. ამზადებს ამ გამოკვლევას სრულიად გასაგები სიამაყით. უკანასკნელი გამოკვლევა რადიო-ტელეგრაფისათვის და რადიო-ტელეფონისათვის დიდძალიანი დინამო მანქანა, დიდათ გააძლიერებს დააიაფებს რადიოს მუშაობას. ამ გვარი შედეგები ამ დარგში ჯერ არსად გარდა საბჭოთა რუსეთისა არ მიღწეულა.

უკვე მოსჩანს ჩანასახები რუსეთის მომავალი ელექტროფიკაციისა; გაზეთის ქაღალდის ნაკლულევანება, მიტინგებისა და კონცერტებისათვის დიდი შენობების უქონობა, ნაკლებობა კარგი მუსიკანტების საკმაო რიცხვისა, ორატორების მგალობლებისა, ორკესტრების და სხვათა გაბათილებული იქნება უკანასკნელი ჩვენი ელექტროტექნიკის მიღწევით".

## ბრძოლა ხოლერის წინააღმდეგ

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარული განათლების განყოფილებამ, მიიღო მეტად ენერგიული ზომები ხოლერის ეპიდემიის წინააღმდეგ.

ეს ზომები წარმოადგენენ საქმით საჰიგიენო ცნობების გავრცელებას მოსახლეობის შორის, გადასწყვიტეს ლექციები მოაწყონ ყველა ენებზე ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებზე. უკვე ათი ათასობით დარიგდა საქართველოს ყველა კუთხეში მოწოდება ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელშიაც ჩამოთვლილია ამ ბრძოლის ღონისძიებანი. ქართულ ენაზე იბეჭდება ბროშიურა, რომელიც სპეციალურად აწერს ამ ბრძოლის ღონისძიებათ, ხოლო ამ დღეებში გამოვა ბეჭდვიდან სპეციალური ერთ დღიური ჟურნალი, რომელიც ამავე საგანს შეეხება. ჟურნალი, იბეჭდება რუსულ და ქართულ ენებზე. ჟურნალში მოთავსებული წესები იქნება წერილები პროფესორ შიროკოგოროვის, ჯანმრთელობის სახალხო კომისრის ამხ. კუტაიძესი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველის ექიმ ელიაშვილისა და სხვ.

გამოიცემა მხატვრული პლაკატები ადგილობრივ ენებზე, საბჭოთა რუსეთის მსგავსათ, ფართე ადგილებზე გასაკვრელათ საქართველოს ყველა ქალაქებსა და სოფლებში. გამართულ იქნება მაჩვენებელი ვიტრინები, და გამოფენები, რიცხვით 10, უმთავრეს საკითხის ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

დაიწყეს წინასწარი მუშაობა სანიტარულ განათლების სახლის მოსაწყობათ მოსკოვის ტიპის მსგავსათ აუდიტორიების, სამკითხველოთი გამოფენით. ეს სახლი შეიქმნება კერათ სასანიტარო საჰიგიენო ცოდნის გავრცელებისა და მოსახლეობის შორის.

მიიღეს ზომები ამ მიზნისათვის კინო-თეატრების ფართეთ გამოსაყენებლად.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარული განყოფილება, ღებულობს ყველა ამ ზომებს და თავის მხრივ იმედოვნებს, რომ საქართველოს ყველა დაწესებულებები ყოველნაირად ხელს შეუწყობენ ამ საქმეში.

## წერილი რედაქციის მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მომცეთ საშუალება თქვენს გაზეთში გამოვაქვეყნო შემდეგი განმარტება:

ამ რამდენიმე ხნის წინად ქუთაისურ გაზ. „მუშა და გლეხის" № 13-ში ერთი განცხადება იყო მოთავსებული, რომელშიც ავტორი აცხადებდა, რომ დღეიდან ის თავის თავს სთვლის მესამე ინტერნაციონალის (და მაშასადამე კომუნისტური პარტიის) მიმდევრათ. ამ განცხადებას ხელს აწერს ვიღაც „ა. ჭირქაძე". ვინაიდან მე მაშინ დაპატიმრებული ვიყავი და შეიძლება ზოგმა ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა იფიქრეს, რომ პირადი ბედის შემსუბუქების მიზნით მე ჩემს რწმენას ვუღალატე—ამიტომ ვაცხადებ, რომ აღნიშნული წერილი მე არ მეკუთვნის. კარგი იქნებოდა ამ წერილის ავტორის იმდენი მოესაზრებია, რომ მარტო სახელის ინიციალისა და გვარის მოწერით ასეთი გაუგებრობას გამოიწვევდა.

ალექსანდრე რაჟდენის ძე ჭირქაძე.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

გულის ტკივილით აუწყებენ ნათეს[illegible]

**გრიშა ჩარკვას**

უდროოდ ტრაგიკულ გარდაცვალებას, ძმა და მეგობარი: პ. კოპაძე—ვლ. ანთელავა.
1010

გულდათუთქულნი სოფიო მალხაზის ასული, ლუბა და ნინა გიორგის ასულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 4 ამ თვისა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი პირველის მეუღლე და უკანასკნელთა მამა ექიმის თანაშემწე

**გიორგი ტარიელის ძე ზაქრაძე**

რომლის სულის ასახსნელად ორშაბათს ამა თვის 11, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი შვიდის თავისა დღიდან მის გარდაცვალების, დიდუბის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12-ზე ელისაბედის ქუჩა № 166.
1009.

განცხადება
**დავკარგე** პასპორტი № 6802, მოცემული ისპანიის კონსულის მიერ. გთხოვთ ეს პასპორტი ჩასთვალოთ უკანონოდ.
ნიკოლოზ ისაკიანცი. 1011

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად ხიფილისი (914 ტ 606 სქესობრივი უძლურება, ვენერიული ხუხუნათი და შედეგები.
ახალი შებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

კბილის ექიმა
**აპოლონ ურუშაძემ**
განაახლა ავადმყოფების მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.
პეზუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ბეითალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეხაპუნებით. ქიით ცხვრის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ცესსლერის" მეთოდებით. ვეძლევი დარიგებას „ზოოტექნიკაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქ. № [illegible], [illegible] 2. 38

ქ. ლანჩხუთში.
ექიმი
**ოლღა ხოშერია**
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

## ხელ-ახალი რეგისტრაცია.

სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტის დადგენილების თანახმად, მთელ საქართველოში უნდა მოხდეს წევრთა ხელახალი რეგისტრაცია.

ტფილისში რეგისტრაცია დამთავრდა სამ უბანში გრძელდება შემდეგ უბნებში:

1. ვაგზლის უბანში ამხ. კ. ბაქრაძესთან VI საბჭოთა აფთიაქში (ვაგზლის ქ. № 8).
2. დიდუბის უბანში—კბილის ექიმ ბაქრაძესთან „მუშტაიდის შესახვევი № 11.
3. ავლაბარში—პარტიულ ბიუროში სადამოს 6—8-მდე (კახეთის მოედანი № 5).
4. მე-9 უბანი—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის განყოფილების მდივან ელიაშვილთან. 9—2-მდე. ჩერქეზოვის ქუჩა № 36 სად. 4—5-მდე—და აგრეთვე რედაქციაში და ცენტრალურ ბიუროში.

საგანგებო საორგანიზაციო სამეული.

ქუთ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მაჩაიძე
აძგენს მოსამზად.

**ჯგუფებს**

ოთხი და ექვსი კლასის მოწმობის მისაღებად. აგრეთვე საშუალო სასწავლებელში: გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად მე-2,3, 4, 5, 6, 7 კლასში. მასწავლებლობის და აფთიაქის მოწაფის წოდებაზე.

აგრეთვე იძლევა ცალკე გაკვეთილებს: მათემატიკაში გერმანულში და რუსულ ენებში—განმეორებითი გამოცდებზე მოსამზადებლად.

მეცადინობა: დილით—5—7 საათამდე. სადამოთი 2—4 და 5—7 საათ.

მისამართი: პლეხანოვის ქუჩის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5.

ნახვა და ჩაწერა—6—7 ნახ. დილით 3—7 სადამოთი. 1081

მიიღება ხელის მოწერა
**„სოციალისტ-ფედერალისტზე"**
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 8000 მან. ცალი 500 მან.